

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„მ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

გიორგი მამრიკიშვილი

„---24-“-----05-----“ 2017 წელი

ეგზ. № 1

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების საფინანსო-ეკონომიკური
საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N: 25/36

2017 წელი

სარჩევი

მნიშვნელოვანი შედეგები	4
შესავალი ნაწილი	7
აუდიტის მიზანი	7
აუდიტის მასშტაბი.....	8
აუდიტის ანგარიშის დანიშნულება.....	8
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	8
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	8
აუდიტის ობიექტის აღწერა.....	9
ძირითადი ტექსტი.....	13
1. ბიუჯეტის შედგენა - შესრულება.....	13
1.1 პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადება, საბიუჯეტო განაცხადები.....	13
1.2 ბიუჯეტის შესრულება და ანგარიშგება	14
2. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზება.....	15
სოფელ ფუთის ყოფილი სკოლის შენობის პრივატიზება.....	15
3. მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები.....	19
3.1 სოფელ ტაბაკინის გზის საფარის რეაბილიტაცია	19
3.2 ზოვრეთის გზის საფარის რეაბილიტაცია	22
3.3 სოფელ სასახლის, ფუთის, ქვედა და ზედა საქარის საავტომობილო გზებისა და ქალაქ ზესტაფონში ანჯაფარიძის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები	24
3.4 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სარეაბილიტაციო სამუშაოები	27
3.5 ხელშეკრულებით განსაზღვრული საგარანტიო ვადები	29
3.6 შესრულებული სამუშაოების ხარისხის ექსპერტიზა.....	30
3.7 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების მასალების შესყიდვა..	31
3.8 საცხოვრებელი სახლების ეზოებისა და გარე განათების რეაბილიტაცია	33
4. შესყიდვის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები	34
4.1 „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“	34
4.2 სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა	35
4.3 გადახდილი დღგ	35
4.4 მუნიციპალიტეტზე დარიცხული პირგასამტეხლო	36
4.5 მიმწოდებლისთვის პირგასამტეხლოს დარიცხვა	37
4.6 ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს ზევით ხელშეკრულებების შეთანხმება საკრებულოსთვის.....	37
5. მმართველობითი გადაწყვეტილებები	38

5.1 შრომის ანაზღაურება.....	38
5.2 განთავისუფლებულ თანამშრომლებზე გადახდილი თანხები.....	39
5.3 საკრებულოს წევრების ხარჯები.....	40
5.4 სოფელ სასახლეში საავტომობილო გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაო	41
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	43
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.....	43

მნიშვნელოვანი შედეგები

- ზესტაფონის მუნიციპალიტეტში სოფელ ფუთის ყოფილი სკოლის შენობა-ნაგებობების გასაყიდი (საბაზრო) ფასი, აუდიტორული დასკვნის მიხედვით, შეადგენდა 66.2 ათას ლარს. მუნიციპალიტეტმა აუქციონზე ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასი განსაზღვრა 6.2 ათასი ლარით. საბოლოოდ, 2015 წელს შენობა გაიყიდა 52.1 ათას ლარად, აუდიტორის მიერ დადგენილ საწყის საპრივატიზებო საფასურთან შედარებით 14.1 ათასი ლარით უფრო ნაკლებად. (გვ. 16)
- 2014 წელს ზესტაფონის მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „ტობესთან“ სოფელ ტაბაკინში ბეტონის გზის მოწყობის სამუშაოებზე, საერთო ღირებულებით - 930.2 ათასი ლარი. სამუშაოების მიმდინარეობისას ზედამხედველმა წერილობით 4-ჯერ მიმართა მუნიციპალიტეტს, რომ ვიზუალური დათვალიერებით, დაგებული ბეტონის ხარისხი არ იყო დამაკმაყოფილებელი და საჭიროებდა შემოწმებას. შემსყიდველმა არ გაითვალისწინა ზედამხედველის რეკომენდაცია და მიმწოდებელს შუალედური შესრულების საფუძველზე სულ აუნაზღაურა 721.8 ათასი ლარი, მათ შორის, ზედამხედველის მიმართვის შემდეგ - 471.8 ათასი ლარი. სამუშაოების დასრულების შემდეგ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ ჩაატარა რეაბილიტირებული გზის ექსპერტიზა. დასკვნის მიხედვით, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, შესრულებულია 374.8 ათასი ლარის სამუშაო, მაშინ როდესაც გამგეობის მიერ ანაზღაურებულია 721.8 ათასი ლარი. შედეგად მუნიციპალიტეტის მიერ 347 ათასი ლარი გადახდილია ისეთ სამუშაოებში, რომელთა ხარისხიც არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. (გვ. 20)
- 2014 წელს ტაბაკინის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე მიმწოდებელმა მუნიციპალიტეტს წარუდგინა 46.5 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია. მიუხედავად იმისა, რომ მიმწოდებელმა ვერ მოახერხა სამუშაოების ჩაბარება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა არ მოითხოვა ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება და შესაბამისად, დაკარგა 46.5 ათასი ლარის მიღების შესაძლებლობა. (გვ. 20)
- 2015 წელს სოფელ ზოვრეთის გზის კაპიტალურ შეკეთებაზე დაიხარჯა 189.7 ათასი ლარი. გზის ნაწილი საგარანტიო პერიოდში გამოვიდა მწყობრიდან, რომელიც მიმწოდებელმა შეაკეთა ფრაგმენტული ჩაკერების გზით. აუდიტის ჯგუფმა სამუშაოები ადგილზე დაათვალიერა, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ დაზიანებული იყო როგორც თავდაპირველად მოწყობილი გზის ასფალტობეტონის საფარის ნაწილი, ასევე საგარანტიო ვადაში მოწყობილი ფრანგმეტული ჩაკერებები. შესაბამისად, ზოვრეთის გზის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები, რაშიც გადახდილია 189.7 ათასი ლარი, შესრულებულია უხარისხოდ. (გვ. 23)
- 2015 წელს სოფელ სასახლეში, ფუთში, ქვედა და ზედა საქარაში, ასევე ქალაქ ზესტაფონში ანჯაფარიძის ქუჩაზე გზის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ 724.8 ათასი ლარის სამუშაოები შესრულებულია უხარისხოდ და გზის საფარი დაზიანებულია. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ობიექტს გააჩნდა მოქმედი საგარანტიო ვადა, მუნიციპალიტეტს არ

მიუმართავს მიმწოდებლებისთვის არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. (გვ. 25)

- 2015 წელს ზესტაფონის №5 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე, ორი ხელშეკრულების ფარგლებში, დაიხარჯა 123.6 ათასი ლარი. აუდიტის ჯგუფის მიერ ობიექტის დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ მიუხედავად ექსპერტის დადებითი შეფასებისა, სამუშაოების ნაწილი შესრულებულია უხარისხოდ და გამოსულია მწყობრიდან. ამასთანავე, სამუშაოების საგარანტიო ვადა გასული არ იყო, თუმცა გამგეობას არ მიუმართავს მიმწოდებლებისათვის დაზიანებების აღმოფხვრის მიზნით. (გვ. 28)
- 2015 წელს განხორციელდა ქ. ზესტაფონის №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით 69 ათასი ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით ირკვევა, რომ ბალის სახურავი რეაბილიტაციიდან 4 თვეში გამოვიდა მწყობრიდან, რომელიც მიმწოდებელმა საგარანტიო ვადაში რამდენჯერმე შეაკეთა, თუმცა პრობლემის აღმოფხვრა მაინც ვერ მოხერხდა. აუდიტის ჯგუფის მიერ სამუშაოების დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ გადახურვა შესრულებულია უხარისხოდ და წვიმიან ამინდში ნალექი აღწევს საბავშვო ოთახებში, ასევე დაზიანებულია ხელშეკრულების ფარგლებში მოწყობილი სველი წერტილები. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ 69 ათასი ლარი გადახდილია სარეაბილიტაციო სამუშაოებში, რომლებიც შესრულებულია უხარისხოდ. (გვ. 28)
- 2015 წელს მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „მშენებელი 99“-თან, რომელიც ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტის 11 ადმინისტრაციული ერთეულისთვის 172.4 ათასი ლარის ღირებულების, 1077.5 კუბ.მ მზა ბეტონის მიწოდებას. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, მიმწოდებელს 87.8 ათასი ლარის ღირებულების 548.5 კუბ.მ ბეტონზე საერთოდ არ წარმოუდგენია ხელშეკრულებით განსაზღვრული ექსპერტიზის დასკვნები. მიუხედავად აღნიშნულისა, გამგეობას სრულად აქვს ანაზღაურებული მიწოდებული მზა ბეტონის ღირებულება. (გვ. 31)
- 2014-2015 წლებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტმა შეისყიდა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავის მასალები, საერთო ღირებულებით 148.9 ათასი ლარი. სამუშაოების ადგილზე დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ 10 საცხოვრებელ კორპუსში, სადაც გადაცემული მასალების საერთო ღირებულება შეადგენს 53.5 ათას ლარს, სამუშაოები შესრულებულია უხარისხოდ და მოსული ნალექი აღწევს საცხოვრებელ სახლებში. სრულად დასაწყობებულია 10.8 ათასი ლარის ღირებულების მასალები და ეს მასალები გადახურვის სამუშაოების შესასრულებლად არ გამოუყენებიათ, ხოლო 5.6 ათასი ლარის ღირებულების საქონელი ზედმეტად არის გადაცემული სხვადასხვა საცხოვრებელი სახლის გადასახურად, რომლის რეალური საჭიროება არ არსებობდა. (გვ. 32)
- 2014-2015 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შესყიდულია და გამგებლის წარმომადგენლებისთვის გადაცემულია 53.9 ათასი ლარის ღირებულების მასალა, რომელიც დასაწყობებულია და არ მომხდარა მისი გამოყენება მოსახლეობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად, არ სრულდება „სოფლის

მხარდაჭერის პროგრამით“ განსაზღვრული მოთხოვნები და მოსახლეობა ვერ სარგებლობს მიწოდებული მატერიალური სიკეთით. (გვ. 35)

- 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტმა სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრული მონეტარული ზღვრების და/ან შესყიდვების გეგმის დარღვევით განახორციელა 52 სახელმწიფო შესყიდვა, ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებით - 2 159.8 ათასი ლარი. (გვ. 35)
- 2014 წელს გამგეობამ 2 შემთხვევაში დაგვიანებით ანაზღაურა შესრულებული სამუშაოების ღირებულება. მიმწოდებლებმა მიმართეს სასამართლოს მუნიციპალიტეტისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნით. შედეგად, გამგეობას შემსრულებლების სასარგებლოდ დაეკისრა 2 ათასი ლარის გადახდა. (გვ. 36)
- 2014-2015 წლებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტში შრომის ანაზღაურების სახით გაცემულია 3 869.9 ათასი ლარი, მათ შორის, პრემიის სახით - 627.2 ათასი ლარი, 2015 წელს გაცემულია დანამატიც, 84.6 ათასი ლარის ოდენობით. შტატგარეშე მოსამსახურეებზე ანაზღაურებულია 118.1 ათასი ლარი, მათ შორის, პრემია 23.2 ათასი ლარი. ამავე პერიოდში მუნიციპალიტეტის როგორც შტატით გათვალისწინებულ, ასევე შტატგარეშე თანამშრომლებზე გაცემულია „საშვებულებო დახმარება“ 203.3 ათასი ლარის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობა დაქირავებულებისათვის „საშვებულებო დახმარების“ გაცემას არ ითვალისწინებს. (გვ. 39)
- 2014 წელს ზესტაფონის მუნიციპალიტეტმა 3 პირს აუნაზღაურა იძულებითი განაცდური 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, სულ - 6.7 ათასი ლარი. დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ 2013 წელს გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებებით განთავისუფლებულმა 3-მა პირმა სასამართლოში გაასაჩივრა სამართლებრივი აქტები მათი განთავისუფლების შესახებ. შედეგად, სამივე პირი აღდგენილ იქნა გამგეობის შესაბამის თანამდებობებზე. (გვ. 40)

რეკომენდაციები:

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ფინანსური რესურსების ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფის მიზნით, საკუთარ ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები მიმართოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების განსახორციელებლად. ამასთანავე, ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ არსებული თავისუფალი ნაშთი დროულად და მაქსიმალურად გამოიყენოს მოსახლეობის სასიკეთოდ.
2. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ დანერგოს კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოების ჩაბარებას ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული ხარისხის შესაბამისად; რეგულარულად განახორციელოს შესყიდული სამშენებლო ობიექტების მდგომარეობის მონიტორინგი და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში გაატაროს სათანადო ღონისძიებები არსებული ნაკლოვანებების დროულად აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული ხელს შეუწყობს

შესყიდული ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების მიწოდებას ხარვეზების გარეშე.

3. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მზა ბეტონის სასაქონლო ფორმით შეძენისას უზრუნველყოს შესყიდული ობიექტის საექსპერტო კვლევა, რათა მიიღოს მაღალი რწმუნება იმისა, თუ რამდენად შეესაბამება შესყიდული საქონლის ხარისხი ხელშეკრულების პირობებით მოთხოვნილს. ამასთანავე, ექსპერტიზის პროცესი დაგეგმოს და წარმართოს ისე, რომ მაქსიმალურად გამოირიცხოს მიმწოდებლის შესაძლო გავლენა ექსპერტიზას დაქვემდებარებული ობიექტების შერჩევასა და ექსპერტიზის შედეგებზე.
4. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ დააწესოს კონტროლი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების რეაბილიტაციის მთელ პროცესზე: დაგეგმვის ეტაპიდან - გადახურვის სამუშაოების დასრულებამდე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მასალების ფაქტობრივი საჭიროებიდან გამომდინარე მიწოდება და დაზიანებული სახურავების დროული და ხარისხიანი რეაბილიტაცია.
5. ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისას ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უნდა შეისწავლოს მოსახლეობის საჭიროებები, განსახორციელებელი პროექტების მოსალოდნელი შედეგები და აღნიშნულის გათვალისწინებით პრიორიტეტულად განსაზღვროს ისეთი მონაკვეთების კაპიტალური შეკეთება, რომლის დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი აისახება ადგილობრივი მაცხოვრებლების უმრავლესობაზე.

შესავალი ნაწილი

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლებში გაწეული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შემოწმება, აგრეთვე მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებების ეკონომიურობის და მართლზომიერების შეფასება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ანგარიშში, მათი გამოვლენის შემთხვევაში, აისახება შემდეგი საკითხები:

- მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამობა - საქმიანობის წარმართვისას, საჯარო რესურსების გამოყენებისას და ფინანსური ანგარიშგების შედგენისას მოქმედ საკანონმდებლო და სხვა აქტების მოთხოვნების დაუცველობა;
- არამართლზომიერი ხარჯვა - სახსრების ეკონომიურად ხარჯვის ვალდებულებების დაუცველობა;

- ნებისმიერ სხვა საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასაწერად.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა 2014-2015 წლებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. აქედან გამომდინარე, აუდიტმა მოიცვა ბიუჯეტის გადასახდელების საკასო შესრულება - ჯამში 27 454.8 ათასი ლარის ოდენობით.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამოებების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილ იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2014-2015 წლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობითა და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობის ვალდებულება ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით გამოწვეულ არსებით კანონშესაბამოებს.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარმართა უმაღლესი

აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის მიერ 2014-2015 წლებში განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს. აუდიტორული პროცედურები ჩატარდა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

აუდიტის ობიექტის აღწერა

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ჰყავს აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება და დამოუკიდებელი ბიუჯეტი. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 19 ადმინისტრაციულ ერთეულს, მოიცავს ქალაქ ზესტაფონს, დაბა შორაპანს და 58 სოფელს. თვითმმართველი ერთეულის ფართობია 423.7 კვ.კმ. მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 57.5 ათას კაცს¹. ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ზესტაფონი.

მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის², საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიხედვით. კანონმდებლობით თვითმმართველ ერთეულს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს მიეკუთვნება:

- საბიუჯეტო პროცესის განხორციელება;
- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა, ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების მართვა;
- მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა, ტერიტორიის კეთილმოწყობა, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და საგზაო მოძრაობის ორგანიზება, მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურება;
- საჯარო ადგილების დასუფთავება, ნარჩენების მართვა, ტერიტორიის გამწვანება, გარე განათების უზრუნველყოფა, წყალმომარაგებისა და

¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. <http://geostat.ge>

² 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღემდე თვითმმართველი ერთეულების საქმიანობა რეგულირდებოდა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.

წყალარინების უზრუნველყოფა, ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემის განვითარება;

- სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა;
- კულტურული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირება;
- სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტა.

ბიუჯეტის მიმოხილვა

შემოსულობები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით, 2014-2015 წლებში შემოსულობებმა შეადგინა 29 172.3 ათასი ლარი. შემოსულობების 97,7% შემოსავლებია, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 2.3%. წლების მიხედვით მონაცემები წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლებით:

ცხრილი 1. მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების ბიუჯეტების შემოსულობები (ათასი ლარი)

დასახელება	2014	2015	სულ
შემოსულობები	13478.5	15693.8	29172.3
შემოსავლები	13291	15220.9	28511.9
გადასახადები	2733.8	2394.5	5128.3
გრანტები	9019.6	11199.6	20219.2
სხვა შემოსავლები	1537.6	1626.8	3164.4
არაფინანსური აქტივების კლება	187.5	472.9	660.4
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენების გარდა)	0	0	0
ვალდებულებების ზრდა	0	0	0

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მიხედვით, 2014-2015 წლებში მიღებული შემოსავლების 71% გრანტებია, 18% - გადასახადები, ხოლო დანარჩენ 11%-ს სხვა შემოსავლები შეადგენს.

გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მიხედვით, 2014-2015 წლებში გადასახდელების საკასო შესრულებამ - 27 454.8 ათასი ლარი შეადგინა. წლების მიხედვით ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილში:


ცხრილი 2. მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების ბიუჯეტების გადასახდელები (ათასი ლარი)

დასახელება	2014	2015	სულ
გადასახდელები	12664.8	14790	27454.8
ხარჯები	9708.5	9610.2	19318.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	2830.1	5053	7883.1

ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვების გარდა)	0	0	0
ვალდებულებების კლება	126.2	126.8	253


2014-2015 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მიხედვით, გადასახდელების ყველაზე დიდი ნაწილი ხარჯებია და 70%-ს შეადგენს, არაფინანსური აქტივების ზრდა 29%-ია, ხოლო ვალდებულებების კლება - 1%.

დიაგრამა 1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების ბიუჯეტების ხარჯები (ათასი ლარი)



ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მიხედვით, 2014-2015 წლების ხარჯებში მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა სუბსიდიები - ხარჯების 47%, შრომის ანაზღაურება - 20%, საქონელი და მომსახურება - 14% და სოციალური უზრუნველყოფა - 11%.

დიაგრამა 2. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია 2014-2015 წლებში (ათასი ლარი)



ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის სახით ბიუჯეტიდან გაცემული სახსრების 19% დაიხარჯა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე, რომელიც ძირითადად წარმოდგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფას მოიცავს. ეკონომიკური საქმიანობა დაფინანსდა 19,2%-ით, რომლის ფარგლებშიც ძირითადად ჩატარდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები. დაფინანსების მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა აგრეთვე განათლების სფერო, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის 18%.

ნაშთის ცვლილება

მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის დასაწყისში ზესტაფონის მუნიციპალიტეტს ანგარიშზე ნაშთის სახით ერიცხებოდა 1 896.4 ათასი ლარი, რომლის ხარჯვაც დაიგეგმა 2014 წლის ბიუჯეტით. მიუხედავად ამისა, 2014 წელს ნაშთის ცვლილებით გამოწვეული ფულადი სახსრების დაგროვებამ (მატებამ) შეადგინა 813.7 ათასი ლარი და წლის ბოლოს დაფიქსირდა ნაშთი 2 710.1 ათასი ლარი (მათ შორის, თავისუფალი ნაშთი 1 876.6 ათასი ლარია), რომლის გამოყენებაც დაიგეგმა მომდევნო წელს. 2015 წელს ნაშთის ცვლილებით გამოწვეული ფულადი სახსრების ზრდამ შეადგინა 903.3 ათასი ლარი, ხოლო წლის ბოლოს არსებულმა ნაშთმა 3 613.4 ათასი ლარი (მათ შორის, თავისუფალი ნაშთი 1 573.8 ათასი ლარია). აღნიშნული მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე. შედეგად მოსახლეობა ვერ სარგებლობს იმ სიკეთით, რაც შესაძლოა მიწოდებულ იქნეს ბიუჯეტში მობილიზებული სახსრების დროული და ეფექტიანი გამოყენებით.

აღსანიშნავია, რომ პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ნაშთის დაგროვება ნაწილობრივ გამოიწვია დაუგეგმავმა შემოსავლის მიღებამ. კერძოდ, 2014 წლის ბოლოს შემოსავალი ქონების გადასახადიდან მიღებულია 737.8 ათასი ლარით მეტი ვიდრე თავდაპირველი გეგმით იყო განსაზღვრული, ხოლო 2015 წლის ბოლოსათვის 399.8 ათასი ლარით მეტი.

რეკომენდაცია: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ფინანსური რესურსების ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფის მიზნით, საკუთარ ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები, მიმართოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების განსახორციელებლად. ამასთანავე, ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ არსებული თავისუფალი ნაშთი დროულად და მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული მოსახლეობის სასიკეთოდ.

ძირითადი ტექსტი

1. ბიუჯეტის შედგენა - შესრულება

1.1 პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადება, საბიუჯეტო განაცხადები

კრიტერიუმი: კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტზე მუშაობა უნდა დაიწყოს პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებით. ამ მიზნით, აღმასრულებელმა ორგანომ უნდა გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს წარსადგენი ინფორმაციის ნუსხას და ვადებს. კანონმდებლობით დადგენილია პრიორიტეტების დოკუმენტის სტრუქტურაც³.

ბიუჯეტის პროექტის ფორმირებისას, საფინანსო სამსახურმა საბიუჯეტო ორგანიზაციებს უნდა დაუგზავნოს საბიუჯეტო განაცხადები ასიგნებებისა და დასაქმებულთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითებით⁴.

გარემოება: 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს პრიორიტეტების დოკუმენტის მოსამზადებლად სამართლებრივი აქტი არ გამოუცია. მუნიციპალიტეტმა აგრეთვე ვერ წარმოადგინა 2014-2015 წლებისათვის მომზადებული პრიორიტეტების დოკუმენტი.

2014 წლის ბიუჯეტის მოსამზადებლად ორგანიზაციებისათვის დაგზავნილი საბიუჯეტო განაცხადები არ შეიცავს ასიგნებებისა და დასაქმებულთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრულ მოცულობებს, ხოლო 2015 წლის ბიუჯეტისათვის, პასუხისმგებელი პირის განმარტებით, საბიუჯეტო განაცხადები არ გაგზავნილა.

ორგანიზაციებიდან მიღებული განაცხადები არასრულყოფილია და არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, განაცხადი არ მოიცავს გასული და მიმდინარე საბიუჯეტო წლებისათვის პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებების გაანგარიშებას საბიუჯეტო კლასიფიკაციის (გარდა პროგრამული კლასიფიკაციისა) ყველაზე დაბალი თანრიგის მიხედვით, დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერას და მიზნებს, დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის პროგრამებს/ქვეპროგრამებს, მათ დაფინანსებას, აღწერას და მიზნებს.

ამრიგად, პრიორიტეტების დოკუმენტის და საბიუჯეტო განაცხადების მომზადების პროცესი ხასიათდებოდა სხვადასხვა ხარვეზით, რითაც დაირღვა საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

³ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 76.

⁴ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 77.

1.2 ბიუჯეტის შესრულება და ანგარიშგება

კრიტერიუმი 1: მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ ყოველი კვარტლის დასრულებიდან ერთ თვეში საკრებულოს უნდა წარუდგინოს ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა ნაზარდი ჯამით, კანონმდებლობით განსაზღვრული სტრუქტურის შესაბამისად. საკრებულოს ასევე წარედგინება ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 2 თვისა. ანგარიში უნდა მოიცავდეს განმარტებებს, თუკი დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობა 30%-ს აღემატება⁵. ასევე, საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანომ უნდა მოამზადოს ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტი (მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის და მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი/დაფუძნებული ან მის კონტროლს დაქვემდებარებული ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტი)⁶.

გარემოება: ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგების პროცესი ხასიათდება შემდეგი ხარვეზებით:

- 2014 წლის I კვარტლის მიმოხილვაში გადასახდელების, ნაშთის ცვლილების, მთლიანი სალდოს, 2014 წლის II, III და 2015 წლის I, II, III კვარტლების მიმოხილვებში შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილების, მთლიანი სალდოს, ხოლო 2015 წლის IV კვარტლისათვის ნაშთის ცვლილების და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობები შედარებული არ არის შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან.
- გამგეობას საკრებულოსათვის არ წარუდგენია 2014 წლის IV კვარტლის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა.
- 2014-2015 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები არ მოიცავს ინფორმაციას ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ წლის დასაწყისისათვის.
- 2014 წელს სოციალური პროგრამა (პროგრამული კოდი 06.02) შესრულდა 68%-ით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებას და ფაქტობრივ შესრულებას შორის შეუსაბამობის მაჩვენებელი 30%-ს აჭარბებს, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში წარმოდგენილი არ არის შესაბამისი განმარტებები.
- 2014 და 2015 საბიუჯეტო წლებისთვის, პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანოს არ მოუმზადებია ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტი.

⁵ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 81, პუნქტი 1; მუხლი 85; მუხლი 87.

⁶ საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 7, პუნქტი 3.

კრიტერიუმი 2: საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით⁷, მუნიციპალიტეტების საფინანსო ორგანოებს უნდა დაეხურათ კომერციულ ბანკებში გახსნილი ანგარიშები 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით⁸ და ამ ანგარიშებზე რიცხული ნაშთები 5 იანვრიდან ეტაპობრივად - არა უგვიანეს 2015 წლის 31 იანვრისა, უნდა მიმართულიყო ხაზინის ერთიან ანგარიშზე. იმავე წესის მიხედვით, ბიუჯეტების შემოსულობების და გადასახდელების ოპერაციები 2015 წლის 1 იანვრიდან უნდა განხორციელებულიყო მხოლოდ ხაზინის ერთიან ანგარიშზე. დაუშვებელია აღნიშნული ოპერაციების განხორციელება კომერციულ ბანკებში გახსნილ ანგარიშებზე.

გარემოება: 2015 წლის 8 იანვარს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანომ „ლიბერთი ბანკში“ არსებული მუნიციპალიტეტის ანგარიშიდან განახორციელა შემდეგი გადარიცხვები:

- ა(ა)იპ „ახალგაზრდული შემოქმედებითი ასოციაცია - ხელოვნება“ - 2.0 ათასი ლარი.
- შპს „საქართველოს ფოსტა“ - 0,3 ათასი ლარი.
- ი/მ „გოჩა ფართლამე“ - 0.5 ათასი ლარი.
- შპს „ფარშევანგი“ - 0.4 ათასი ლარი.
- ფიზიკური პირებიდან დაკავებული საშემოსავლო გადასახადი, ხაზინის ერთიან ანგარიშზე - 1.1 ათასი ლარი.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტმა კანონმდებლობის დარღვევით სულ გადარიცხა 4.3 ათასი ლარი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული განპირობებული იყო სახაზინო აღრიცხვის ახალ პროგრამასთან დაკავშირებული ტექნიკური მიზეზებით. შესაბამისად, რომ არ დაგვიანებულიყო აღებული ვალდებულებების შესრულება, რამდენიმე გადარიცხვა განხორციელდა მუნიციპალიტეტის მომსახურე ბანკის ანგარიშიდან.

ამრიგად, მუნიციპალიტეტში 2014-2015 წლების ბიუჯეტების შესრულება-ანგარიშების პროცესი ხასიათდებოდა სხვადასხვა ხარვეზით. შედეგად, დარღვეულია საბიუჯეტო კანონმდებლობის მოთხოვნები.

2. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზება

სოფელ ფუთის ყოფილი სკოლის შენობის პრივატიზება

კრიტერიუმი: 2014-2015 წლებში შენობა-ნაგებობებისა და მოძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასის განსაზღვრისათვის მუნიციპალიტეტის გამგეობა


⁷ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 დეკემბრის №741 დადგენილება.

⁸ გარდა ანგარიშებისა, რომლებიც გახსნილი იყო საბანკო გარანტიების, სესხებისა და აკრედიტივების უზრუნველსაყოფად და ვადიანი დეპოზიტები 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

დამოუკიდებელ აუდიტორს აფასებინებდა გასაყიდი ქონების საბაზრო ღირებულებას და წერილობით აცნობებდა საკრებულოს ქონების ღირებულების შესახებ. წარდგინების საფუძველზე საკრებულო გასაყიდ ქონებას სვამდა საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში აუდიტორის შეფასებული ღირებულებით, რის შემდეგაც ცხადდებოდა ელექტრონული აუქციონი. აუქციონზე ვაჭრობის შედეგად ვლინდებოდა გამარჯვებული. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირი უარს განაცხადებდა ხელშეკრულების გაფორმებაზე ან არ გადაიხდიდა ქონების ღირებულებას, უქმდებოდა აუქციონის შედეგები, ხოლო აუქციონში გამარჯვებული კარგავდა საბანკო გარანტიას/ბეს, რომელიც სრულად ირიცხებოდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

გარემოება: 2014 წლის 11 ნოემბერს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ წარდგინებით აცნობა საკრებულოს, რომ მიზანშეწონილია მოხდეს სოფელ ფუთის ყოფილი სკოლის შენობა-ნაგებობების გასხვისება დაშლა-გატანის გზით და საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს 6.2 ათასი ლარით. გასაყიდი შენობა-ნაგებობები მოიცავდა სკოლის 3-სართულიან შენობასა და 3 დამხმარე ნაგებობას, საერთო ფართობით -3118 კვ. მეტრი.

სურათი 1. სოფელ ფუთის ყოფილი სკოლის შენობა-ნაგებობები



აღსანიშნავია, რომ 2012 წელს გამგეობამ შპს „რიალ აუდიტისგან“ შეისყიდა შენობა-ნაგებობების აუდიტორული შეფასების მომსახურება. აუდიტორის დასკვნით, ობიექტის გასაყიდი ფასი განისაზღვრა 66.2 ათას ლარის ოდენობით. 2014 წელს მუნიციპალიტეტმა ი/მ გიორგი ნატრიაშვილს გაუფორმა ხელშეკრულება შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო ტექნიკური დოკუმენტაციის მოსამზადებლად, რომლის მიხედვითაც შენობის დემონტაჟის ხარჯი 60.0 ათას ლარი იყო. 2014 წლის 11 ნოემბრის წარდგინებით, გამგეობამ საკრებულოს მისცა რეკომენდაცია, რომ ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასის განსაზღვრისათვის 2012 წლის აუდიტორის შეფასების მიხედვით დადგენილ ღირებულებას გამოკლებოდა ობიექტის დემონტაჟის ხარჯი. შედეგად, მუნიციპალიტეტმა შენობა-ნაგებობები ჩასვა საპრივატიზებო ნუსხაში და საწყის საპრივატიზებო საფასურად განსაზღვრა 6.2 ათასი ლარი.

შპს „რიალ აუდიტის“ წარმომადგენლის მიერ აუდიტის ჯგუფისათვის მიცემული განმარტებით, ქონების ღირებულების შეფასებისას მას გათვალისწინებული ჰქონდა ყოფილი სკოლის შენობა-ნაგებობების დაშლაზე გასაწევი დანახარჯები და აუდიტორული შეფასების შედეგად, შენობის საწყისი საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 66.2 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ქონების ფასის დადგენისას მეორედ გაითვალისწინა დემონტაჟის ღირებულება.

ობიექტის პრივატიზებისთვის აუქციონი გამოცხადდა 2014 წლის 2 დეკემბერს. შენობა-ნაგებობების საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა 6.2 ათასი ლარის ოდენობით. აუქციონის პირობებით გამარჯვებულს საკუთრების მოწმობა და დემონტაჟის უფლება გადაეცემოდა თანხის გადახდის შემდეგ. აუქციონში მონაწილეობა მიიღო 9 პირმა და საბოლოო ფასი დაფიქსირდა 80.3 ათასი ლარის ოდენობით. აუქციონი მოიგო ფ/პ-მა, მამუკა ხურციამ. აღნიშნული პირი წერილობით ითხოვდა დემონტაჟის დაწყების უფლებას და თანხის გადახდის გადავადებას 2-3 თვით. საბოლოოდ, ფ/პ-მა, მამუკა ხურციამ დაწესებულ ვადაში არ გადაიხადა ქონების ღირებულება. შესაბამისად, შედეგები გაუქმდა და მას ჩამოერთვა საბანკო გარანტია, რომელიც 0.6 ათას ლარს შეადგენდა.

მეორე აუქციონი მუნიციპალიტეტმა გამოცხადდა 2015 წლის 18 თებერვალს. საწყის საპრივატიზებო საფასურად ისევ 6.2 ათას ლარი განისაზღვრა. აუქციონში მონაწილეობა მიიღო 5-მა პირმა, საბოლოო ფასად დაფიქსირდა 50.8 ათასი ლარი. გამარჯვებულად ისევ ფ/პ მამუკა ხურცია გამოვლინდა, რომელმაც აუქციონის დასრულების შემდეგ მუნიციპალიტეტს 2-ჯერ მიმართა წერილობით. ორივე წერილით ითხოვდა წინასწარ დემონტაჟის დაწყების ნებართვას და თანხის გადახდის გადავადებას. საბოლოოდ, აუქციონის შედეგები გაუქმდა თანხის გადაუხდელობის გამო და აღნიშნულ პირს ჩამოერთვა საბანკო გარანტია 3.1 ათასი ლარის ოდენობით⁹.

მუნიციპალიტეტმა მე-3 აუქციონი გამოცხადდა 2015 წლის 19 მაისს. მიუხედავად იმისა, რომ წინა ორ აუქციონზე იყო კონკურენცია და საკმაოდ მაღალი ფასებიც დაფიქსირდა, მუნიციპალიტეტმა საწყის საპრივატიზებო საფასურად ისევ 6.2 ათასი ლარი დატოვა. აუქციონში მონაწილეობა მიიღო 3 პირმა და გაიმარჯვა ისევ ფ/პ-მა მამუკა ხურციამ, ხოლო საბოლოო გასაყიდ ფასად დაფიქსირდა 52.1 ათასი ლარი. ფ/პ-მა მამუკა ხურციამ აღნიშნული თანხა ჩარიცხა მუნიციპალიტეტის ანგარიშზე და მას გადაეცა საკუთრების მოწმობა.

აღსანიშნავია, რომ საპრივატიზებო ობიექტი მოიცავდა 3-სართულიან ადმინისტრაციულ შენობას და 3 დამხმარე ნაგებობას, საერთო ფართობით - 3118 კვ.მ. 2012 წლის აუდიტორული დასკვნის მიხედვით, აღნიშნული ქონების ღირებულება

⁹ საბანკო გარანტია მეორე აუქციონისთვის შეადგენდა საწყისი საპრივატიზებო საფასურის 50%-ს.

შეადგენდა 66.2 ათას ლარს. ამასთანავე, ყველა ჩატარებულ აუქციონზე ფიქსირდებოდა კონკურენცია და ვაჭრობის შედეგად ფასი მნიშვნელოვნად იზრდებოდა. შესაბამისად, აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საწყისი საპრივატიზებო ფასად განსაზღვრული 6.2 ათასი ლარი, მნიშვნელოვნად დაბალი იყო ობიექტის რეალურ ღირებულებასთან შედარებით. თუ მუნიციპალიტეტი ქონების საწყის საპრივატიზებო ღირებულებას განსაზღვრავდა აუდიტის დასკვნით დადგენილი ფასის შესაბამისად 66.2 ათასი ლარის ოდენობით, აუქციონში მონაწილის წინასწარ შესატანი ბე არანაკლებ 6.6 ათასი ლარი იქნებოდა¹⁰, რაც შეამცირებდა მონაწილის მოტივაციას, ხელოვნურად ჩაეშალა აუქციონი, რადგან ამ შემთხვევაში თითოეულ აუქციონზე დაკარგავდა ბეს მინიმუმ 6.6 ათასი ლარის ოდენობით. საბოლოოდ, აუქციონის 2-ჯერ ხელოვნურად ჩაშლის შემდეგ, სოფელ ფუთის ყოფილი სკოლის შენობა-ნაგებობები გაიყიდა 52.1 ათას ლარად, რაც 14.1 ათასი ლარით ნაკლებია აუდიტორის მიერ განსაზღვრულ ქონების ღირებულებასთან შედარებით.

კრიტერიუმი: ზესტაფონის მუნიციპალიტეტსა და ფ/პ მამუკა ხურციას შორის 2015 წლის 12 ივნისს გაფორმებული ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებისა და მისი დანართი შეთანხმების მიხედვით, ქონების შემძენს 2015 წლის 31 დეკემბრამდე¹¹ უნდა დაესრულებინა შენობა-ნაგებობების დემონტაჟი, მეორადი მასალების გატანა და ტერიტორიის მოწესრიგება. აღნიშნული პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მყიდველი უნდა დაჯარიმებულიყო ნასყიდობის საგნის საბოლოო ღირებულების 0,05%-ით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. იმ შემთხვევაში, თუ აუქციონში გამარჯვებული პირი დაარღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს, გამგეობამ დროულად უნდა მოახდინოს რეაგირება და გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი ღონისძიებები.

გარემოება: ფ/პ მამუკა ხურციას დემონტაჟი უნდა დაესრულებინა 2015 წლის 31 დეკემბერს. 2016 წლის დეკემბერში აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა აღნიშნული პირის მიერ შესრულებული სადემონტაჟო სამუშაოები. შედეგად აღმოჩნდა, რომ დემონტაჟის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ყველა სამუშაო არ არის შესრულებული, კერძოდ, სრულად არ არის დემონტირებული სკოლის შენობის დამხმარე ნაგებობები, ასევე ბალასტით შევსებული და მოსწორებული არ არის ადმინისტრაციული შენობის დემონტაჟის შედეგად დარჩენილი ჩაღრმავებები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ 2016 წელს მუნიციპალიტეტმა 2-ჯერ მიმართა ფ/პ მამუკა ხურციას დემონტაჟის დასრულების მოთხოვნით. აუდიტის მიმდინარეობისას, 2017 წლის 28 თებერვალს, გაფორმებული ხელშეკრულების ვადის გასვლიდან 14 თვეში, მუნიციპალიტეტმა მიმართა

¹⁰ აუქციონში მონაწილის წინასწარ შესატანი ბე უნდა შეადგენდეს საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 10%-ს.

¹¹ თავდაპირველად, დასრულების ვადა განისაზღვრა 2015 წლის 12 დეკემბრით, ხოლო შემდეგ შეთანხმებით გაიზარდა 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

სასამართლოს და მოითხოვა, რომ ფ/პ მამუკა ხურციას დაესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადემონტაჟო სამუშაოების დარჩენილი ნაწილი და ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დარიცხვოდა პირგასამტეხლო. სარჩელში არსებული ხარვეზების გამო მუნიციპალიტეტს უარი ეთქვა საქმის წარმოებაში მიღებაზე. ახალი სარჩელი წარდგენილია 2017 წლის 3 აპრილს. სარჩელით მუნიციპალიტეტი ითხოვს არსებული ტერიტორიის მოწესრიგებას ღირებულებით 15.9 ათასი ლარი და ფ/პ მამუკა ხურციასათვის პირგასამტეხლოს დაკისრებას 12 ათასი ლარის ოდენობით.

3. მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები

3.1 სოფელ ტაბაკინის გზის საფარის რეაბილიტაცია

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობით, მუნიციპალიტეტი ვალდებულია კონტროლი დააწესოს ხელშეკრულების შესრულების პროცესზე და უზრუნველყოს მიღებული საქონლის/მომსახურების ან შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და მოცულობის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა. სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველი ვალდებულია, შემსყიდველს შეატყობინოს მშენებლობის პროცესში არსებული დარღვევების შესახებ, ხოლო, თავის მხრივ, გამგეობა ვალდებულია ზედამხედველისგან მიღებულ შეტყობინებებზე დროულად მოახდინოს შესაბამისი რეაგირება, რათა არ მოხდეს ისეთი სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება, რომლებიც არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს.

გარემოება: 2014 წლის 6 ივნისს ზესტაფონის მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „ტობესთან“, საერთო ღირებულებით - 930.2 ათასი ლარი¹². ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელს უნდა შეესრულებინა სოფელ ტაბაკინის გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები, რომელიც უნდა დასრულებულიყო 2014 წლის 6 დეკემბერს. ზესტაფონის მუნიციპალიტეტმა აღნიშნულ სამუშაოებზე ზედამხედველობის მიზნით, 2014 წლის 14 მაისს ხელშეკრულება გაუფორმა ი/მ ავთანდილ მესხს. ხელშეკრულების პირობების თანახმად, სამუშაოების ზედამხედველი ვალდებულია შეამოწმოს მიმდინარე მშენებლობის პროექტთან შესაბამისობა და მიმწოდებლის მიერ გამოყენებული მასალების ხარისხი, ხოლო სამუშაოების მიმდინარეობისას გამოვლენილი ხარვეზების შესახებ დროულად აცნობოს მუნიციპალიტეტს და კონტროლი გაუწიოს აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის პროცესს.

გზის სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას ტექნიკურმა ზედამხედველმა პირველად 2014 წლის 8 სექტემბერს მიმართა მუნიციპალიტეტს, რომ ვიზუალური

¹² ხელშეკრულება №120.

დათვალიერებით, დაგებული ბეტონის ხარისხი არ იყო დამაკმაყოფილებელი და საჭიროებდა სათანადო ექსპერტიზის ჩატარებას. ანალოგიური შინაარსის წერილებით ზედამხედველმა მშენებლობის დასრულებამდე კიდევ 3-ჯერ მიმართა გამგეობას¹³. მიუხედავად იმისა, რომ გამგეობა გზის რეაბილიტაციაზე არსებული ხარვეზების შესახებ ინფორმირებული იყო 2014 წლის 8 სექტემბრიდან, მიმწოდებელს მაინც სრულად აუნაზღაურა შუალედური ფორმა №2-ების საფუძველზე შესრულებული სამუშაოს ღირებულება - 721.8 ათასი ლარი, მათ შორის, 8 სექტემბრის შემდეგ მიმწოდებელზე გადახდილია 471.8 ათასი ლარი.

2014 წლის 23 დეკემბერს ზესტაფონის მუნიციპალიტეტსა და მიმწოდებელს შორის გაფორმდა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის მიხედვითაც შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენდა 902.6 ათას ლარს. 2015 წლის 21 იანვარს გამგეობამ მიმართა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, ჩატარებინა ტაბაკინის გზაზე განხორციელებული სამუშაოების საექსპერტო კვლევა. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, წარმოდგენილი 902.6 ათასი ლარის სამუშაოებიდან ხელშეკრულების პირობებს აკმაყოფილებდა მხოლოდ 374.8 ათასი ლარის (42%) ღირებულების სამუშაოები, ხოლო დანარჩენი 527.8 ათასი ლარის სამუშაოები შესრულებულია ხარვეზებით, კერძოდ:

- ✓ მოწყობილი ბეტონის საფარის მარკიანობა ძირითადად არ შეესაბამება საპროექტო მოთხოვნებს;
- ✓ ნორმების გათვალისწინების გარეშე და პროექტის შეუსაბამოდ არის მოწყობილი საყრდენი კედელი, უნდა განხორციელდეს მისი დემონტაჟი და მოწყობა პროექტის შესაბამისად;
- ✓ დაგებულ ბეტონის საფარზე ფიქსირდება განივი და გრძივი ბზარები, რომელიც შევსებულია ბიტუმით;
- ✓ შეიმჩნევა დასაშვებზე მეტი სიდიდის ზედაპირის უსწორობები.

2015 წლის 11 ივნისს¹⁴ შპს „ტობემ“ პარალელურად წარმოადგინა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიერ გაცემული ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნა. აღნიშნული ექსპერტიზა ჩატარდა გზის ბეტონის საფარს, რომლის ხარისხიც სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ შეფასებული იყო უხარისხოდ. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, შესრულებული ბეტონის საფარის სამუშაოები სრულად შეესაბამებოდა ხელშეკრულების პირობებით მოთხოვნილს. აღნიშნული დასკვნის საფუძველზე, 2015 წლის 3 აგვისტოს მიმწოდებელმა მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულების

¹³ შემოსვლის თარიღები: 12.11.2014; 25.11.2014; 08.12.2014.

¹⁴ წერილი №83, 11.06.2015.

სრულად ანაზღაურება. შედეგად, სასამართლომ დანიშნა მე-3 დამოუკიდებელი ექსპერტიზა, რომელიც განხორციელა შპს „ოპტიმალ გრუპ“-მა. საექსპერტო ორგანიზაციას უნდა შეემოწმებინა:

1. რამდენად შესაბამისობაშია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაბაკინში განხორციელებული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარისხი ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.
 2. შესრულდა თუ არა სამშენებლო სამუშაოების პროექტით გათვალისწინებული მიზანი და შეესაბამება თუ არა ამჟამად არსებული გზა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
 3. ვარგისია თუ არა გზა დანიშნულებისამებრ ექსპლოატაციისათვის და დადებითი პასუხის შემთხვევაში, დაახლოებით, რა პერიოდით განისაზღვრება სავარაუდო საექსპლოატაციო ვადა.
 4. არის თუ არა ჩატარებული სამუშაოები შესაბამისობაში ქვეყანაში მოქმედ სამშენებლო სტანდარტებთან, მათ შორის, იმ სამუშაოების გათვალისწინებით, რომლებიც არსებული პროექტისგან განსხვავებულად განხორციელდა.
- სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაბაკინში სასოფლო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარისხი არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
2. არსებული მდგომარეობით განხორციელებული სამუშაოები არ შეესაბამება როგორც პროექტით გათვალისწინებულ მიზანს, ასევე ბეტონის გზის შემდგომში დანიშნულებისამებრ გამოყენების ამოცანას.
3. არსებული მდგომარეობით გზა არ არის ვარგისი დანიშნულებისამებრ ექსპლოატაციისთვის, შესაბამისად, ვერ განისაზღვრება სავარაუდო საექსპლოატაციო ვადა.
4. არსებული მდგომარეობით, ჩატარებული სამუშაოები არ შეესაბამება ქვეყანაში მოქმედ სტანდარტებს.

ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, გარკვეული სამუშაოების ჩატარების შემდეგ გზის ცალკეულ მონაკვეთებზე შესაძლებელია მიღწეულ იქნეს ხელშეკრულების პირობებისა და ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო სტანდარტების შესაბამისი ხარისხი სადემონტაჟო სამუშაოების გარეშე.

ამრიგად, ორი ექსპერტიზის, როგორც სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, ისე სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტიზის დასკვნით დადასტურდა, რომ შპს „ტობეს“ მიერ შესრულებული სამუშაოები არის უხარისხო. თუ დავეყრდნობით სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნას შპს-ს მიერ შესრულებულია 374.8 ათასი ლარის სამუშაო, მაშინ, როდესაც გამგეობის მიერ

ანაზღაურებულია 721.8 ათასი ლარი. მიუხედავად იმისა, რომ გამგეობა 2015 წლის 8 სექტემბრიდან ინფორმირებული იყო სამუშაოების მიმდინარეობისას არსებული ხარვეზების შესახებ, მიმწოდებელს სრულად აუნაზღაურდა აღნიშნული თარიღის შემდეგ წარმოდგენილ ფორმა №2-ებში დაფიქსირებული შესრულებული სამუშაოს ღირებულება, ჯამში 471.8 ათასი ლარი. ამრიგად, მუნიციპალიტეტის მიერ 347 ათასი ლარი გადახდილია ისეთ სამუშაოებში, რომლის ხარისხიც არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

აღსანიშნავია, რომ აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში შპს „ტობესა“ და ზესტაფონის მუნიციპალიტეტს შორის გრძელდება სასამართლო დავა და საბოლოო გადაწყვეტილება არ არის მიღებული.

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, თუ ხელშეკრულების ღირებულება აღემატება 200 ათას ლარს, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე პირი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების მომენტში წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ჯეროვნად არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, მუნიციპალიტეტს შეუძლია აღნიშნულ დოკუმენტში დაფიქსირებული თანხა უპირობოდ მოითხოვოს გარანტიის გამცემი ორგანიზაციისგან.

გარემოება: 2014 წლის №120 ხელშეკრულების ფარგლებში შპს „ტობემ“ მუნიციპალიტეტს წარუდგინა 46.5 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, რომლის მოქმედების ვადა იყო 2015 წლის 15 ივლისის ჩათვლით. მიუხედავად იმისა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 14 აპრილის დასკვნის მიხედვით, მიმწოდებელს სათანადოდ არ ჰქონდა შესრულებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მუნიციპალიტეტმა არ მოითხოვა ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება და შედეგად, დაკარგა 46.5 ათასი ლარის მიღების შესაძლებლობა.

3.2 ზოგრეთის გზის საფარის რეაბილიტაცია

კრიტერიუმი: 2015 წლის 8 ივლისს გამგეობამ შპს „საპოვნელა“-თან გააფორმა №155 ხელშეკრულება გზის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესყიდვის მიზნით. ხელშეკრულების პირობების თანახმად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს სამუშაოების შესრულება ხარისხის, სამშენებლო ნორმების, სტანდარტებისა და წესების დაცვა. შესრულებული სამუშაოს ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ მიმწოდებელს უნდა წარმოედგინა აკრედიტებული საექსპერტო ორგანიზაციის მიერ გაცემული დასკვნა. ამასთანავე, შემსყიდველის მიერ სამუშაოების საბოლოო ჩაბარებიდან 2 წლის განმავლობაში, ხარვეზის

გამოვლენის შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია, გამგეობის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, გამოასწოროს დაზიანება საკუთარი ხარჯებით. დაზიანების აღმოფხვრა გულისხმობს ობიექტის შეკეთებას ისე, რომ მიღებული ობიექტის ხარისხი სრულად შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს.

გარემოება: შპს „საპოვნელა“-თან გაფორმებული №155 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1 218.6 ათასი ლარს. ხელშეკრულების ფარგლებში, სხვა სამუშაოებთან ერთად განხორციელდა სოფელ ზოვრეთის გზის ასფალტობეტონის საფარის მოწყობა, ღირებულებით 189.7 ათასი ლარი.

შპს „საპოვნელა“-მა წარმოადგინა შპს „საქგზამეცნიერების“ სამშენებლო მასალებისა და კონსტრუქციების საგამოცდო ლაბორატორიის მიერ გაცემული დასკვნა გზის საფარიდან ამოჭრილი ასფალტბეტონის შესახებ, რომლის მიხედვით, არანაირი ხარვეზი არ ფიქსირდება შესრულებულ სამუშაოების ხარისხთან დაკავშირებით და წარდგენილი ნიმუშების გამოცდის შედეგები აკმაყოფილებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2016 წლის 15 დეკემბერს აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა დაგებული ასფალტობეტონის გზა. შედეგად აღმოჩნდა, რომ მიუხედავად ექსპერტის დადებითი დასკვნისა, ასფალტობეტონის საფარის ნაწილი გამოსულია მწყობრიდან. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სამუშაოების დასრულების შემდეგ დაზიანებული გზის ნაწილი მიმწოდებელმა შეაკეთა ფრაგმენტული ჩაკერებებით. დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ აუდიტის პერიოდისთვის დაზიანებულია როგორც გზის შეკეთებული ნაწილი, ასევე ჩაკერებების გასწვრივ მოწყობილი ასფალტობეტონის საფარი.

სურათი 2. სოფელ ზოვრეთის გზა



შესაბამისად, ზოვრეთის გზის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები, რაშიც გადახდილია 189.7 ათასი ლარი, შესრულებულია უხარისხოდ. აღსანიშნავია, რომ რეაბილიტირებულ გზას გააჩნია მოქმედი საგარანტიო ვადა. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს არ მიუმართავს, ხოლო მიმწოდებელს არ განუხორციელებია არსებული დაზიანებების აღმოფხვრა.

3.3 სოფელ სასახლის, ფუთის, ქვედა და ზედა საქარის საავტომობილო გზებისა და ქალაქ ზესტაფონში ანჯაფარიძის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შესყიდვის პროცესს ორგანიზება გაუწიოს ისე, რომ თავიდან აიცილოს უხარისხო ან/და დაბალი ხარისხის ობიექტის შეძენა. ამასთანავე, ხელშეკრულების პირობების მიხედვით, შემსყიდველის მიერ საგარანტიო ვადაში ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია გამგეობის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე გამოასწოროს დაზიანება საკუთარი ხარჯებით.

გარემოება 1: 2015 წელს გამგეობამ საავტომობილო გზებზე ბეტონის საფარის მოსაწყობად გააფორმა 4 ხელშეკრულება¹⁵, საერთო ღირებულებით - 898.6 ათასი ლარი. ხელშეკრულებების პირობების თანახმად, მიმწოდებლები ვალდებული არიან საკუთარი ხარჯებით უზრუნველყონ შესრულებული სამუშაოების ხარისხობრივ მაჩვენებლებზე ექსპერტიზის ჩატარება და დასკვნა წარადგინონ მუნიციპალიტეტში.

¹⁵ 2015 წლის ხელშეკრულებები: №148 - შპს „დალა 73“; №156, №280 - შპს „საპოვნელა“; №209 - შპს „მშენებელი 2014“.

ამასთანავე, ექსპერტის შერჩევა ხორციელდება მიმწოდებლის მიერ, გამგეობასთან შეთანხმებით.

დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ მიმწოდებლებს წარმოდგენილი აქვთ 3 შემთხვევაში - შპს „მშენებელი სერვის ცენტრის“ და 1 შემთხვევაში - შპს „ქუთაისცემენტის“ მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნები. აღნიშნულ დასკვნებში არანაირი ხარვეზი არ ფიქსირდება შესრულებული სამუშაოების ხარისხთან დაკავშირებით.

2016 წლის 15 დეკემბერს აუდიტის ჯგუფმა ადგილზე დაათვალიერა აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში დაგებული ბეტონის საფარი. შედეგად აღმოჩნდა, რომ მიუხედავად ექსპერტის დადებითი შეფასებისა, შესრულებული სამუშაოების დიდი ნაწილი, საერთო ღირებულებით 718.4 ათასი ლარი, დაზიანებულია და მთელ სიგრძეზე შეინიშნება განივი და გრძივი ბზარები. კერძოდ, დაზიანებულია:

- ✓ სოფელ სასახლეში - №156 და №280 ხელშეკრულებების ფარგლებში მოწყობილი ბეტონის საფარი, საერთო ღირებულებით - 358.2 ათასი ლარი;
- ✓ სოფელ ფუთში - №148 ხელშეკრულების ფარგლებში მოწყობილი ბეტონის საფარი, ღირებულებით - 119.4 ათასი ლარი;
- ✓ სოფელ ზედა საქარაში - №156 ხელშეკრულების ფარგლებში მოწყობილი ბეტონის საფარი, ღირებულებით - 152.1 ათასი ლარი;
- ✓ სოფელ ქვედა საქარაში - №209 ხელშეკრულების ფარგლებში მოწყობილი ბეტონის საფარი, ღირებულებით - 88.7 ათასი ლარი.

შესაბამისად, 2015 წელს სოფელ სასახლეში, ფუთში, ქვედა და ზედა საქარაში 718.4 ათასი ლარის ღირებულების ბეტონის გზა მოწყობილია უხარისხოდ და დაზიანებულია. ოთხივე ხელშეკრულება ითვალისწინებდა ხარისხის უზრუნველყოფის გარანტიას. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოების დათვალიერების მომენტისათვის საგარანტიო ვადა გასული არ იყო, გამგეობას არ მიუმართავს მიმწოდებლებისათვის აღნიშნული დაზიანებების აღმოფხვრის მიზნით.

სურათი 3. სოფ. სასახლის გზა



სურათი 4. სოფ. ზედა საქარის გზა



სურათი 5. სოფ. ფუთის გზა



სურათი 6. სოფ. ქვედა საქარის გზა



გარემოება 2: 2015 წელს მუნიციპალიტეტმა ჩაატარა ანჯაფარიძის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები¹⁶. ხელშეკრულების ფარგლებში ანჯაფარიძის ქუჩაზე „გაუთვალისწინებელი ხარჯების“ მუხლიდან დაფინანსდა სასაფლაომდე მისასვლელი ერთფენიანი ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოები, რაზეც დაიხარჯა 6.4 ათასი ლარი. გზის დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ შესრულებული სამუშაოების ნაწილი დაზიანებულია და გამოსულია მწყობრიდან. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების პირობების მიხედვით მიმწოდებელს

¹⁶ 2015 წლის №155 ხელშეკრულება.

საგარანტიო ვადაში უნდა გამოესწორებინა არსებული ხარვეზები, მუნიციპალიტეტს არ მიუმართავს და შესაბამისად, მიმწოდებელს არ აღმოუფხვრია არსებული ხარვეზები.

ამრიგად, აღნიშნული გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების ადგილზე დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისათვის დაზიანებული იყო 724.8 ათასი ლარის რეაბილიტირებული გზები. მიუხედავად იმისა, რომ სამშენებლო ობიექტებს გააჩნდა მოქმედი საგარანტიო ვადა, გამგეობას მიმწოდებლებისთვის არ მიუმართავს არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

3.4 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სარეაბილიტაციო სამუშაოები

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შესყიდვის პროცესს ორგანიზება გაუწიოს ისე, რომ თავიდან აიცილოს უხარისხო ან/და დაბალი ხარისხის ობიექტის შეძენა. ამასთანავე, ხელშეკრულების პირობების მიხედვით, შემსყიდველის მიერ საგარანტიო ვადაში ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია გამგეობის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე მოახდინოს დაზიანების გამოსწორება საკუთარი ხარჯებით.

გარემოება 1: 2015 წელს გამგეობამ გააფორმა ორი ხელშეკრულება¹⁷, ქ. ზესტაფონის №5 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, საერთო ღირებულებით 123.6 ათასი ლარი. ხელშეკრულებების მიხედვით სამუშაოების საგარანტიო ვადა შეადგენს 2 წელს.

ხელშეკრულებების მოთხოვნათა გათვალისწინებით, მიმწოდებლებს წარმოდგენილი აქვთ №212 ხელშეკრულებისათვის სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს და №134 ხელშეკრულებისთვის შპს „მშენებელი სერვის ცენტრის“ მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნები, სადაც აღნიშნულია, რომ შესრულებული სამუშაოების ხარისხი დამაკმაყოფილებელია.

2016 წლის 15 დეკემბერს აუდიტის ჯგუფმა ადგილზე დაათვალიერა ქ. ზესტაფონის №5 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სარეაბილიტაციო სამუშაოები. შედეგად აღმოჩნდა, რომ მიუხედავად ექსპერტის დადებითი შეფასებისა, სამუშაოების ნაწილი შესრულებულია უხარისხოდ და გამოსულია მწყობრიდან. კერძოდ, დაზიანებულია მეტალ-პლასტმასის კარ-ფანჯრები, ლამინირებული იატაკი, გაზზე მომუშვე წყლის გამათბობელი, სანათები, პანელური რადიატორები და კედლების შელესვის სამუშაოები.

¹⁷ 2015 წლის ხელშეკრულებები: № 134 - შპს „მარჯი-2008“ ; №212 - შპს „GEO მითი“.

სამუშაოების დათვალიერების მომენტისათვის აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა გასული არ იყო, თუმცა გამგეობას არ მიუმართავს მიმწოდებელისათვის დაზიანებების აღმოფხვრის მიზნით.

გარემოება 2: 2015 წელს გამგეობამ ხელშეკრულება გააფორმა შპს „გზები 2“-თან¹⁸, ქ. ზესტაფონის №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სარეაბილიტაციო სამუშაოზე, ღირებულებით 69 ათასი ლარი. ხელშეკრულება ითვალისწინებდა შემსრულებლის მიერ საკუთარი ხარჯებით სამუშაოს ხარისხობრივ მაჩვენებლებზე საექსპერტო გამოკვლევის ჩატარებას.

მიმწოდებელს გამგეობაში წარმოდგენილი აქვს შპს „მშენებელი სერვის ცენტრის“ მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამუშაოები შესრულებულია სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების დაცვით და შეფასებულია დამაკმაყოფილებლად.

2016 წლის 15 დეკემბერს აუდიტის ჯგუფის მიერ სამუშაოების ადგილზე დათვალიერების შედეგად, აღმოჩნდა რომ გადახურვის სამუშაოები შესრულებულია უხარისხოდ და წვიმიან ამინდში ნალექი აღწევს საბავშვო ოთახებში, ასევე დაზიანებულია ხელშეკრულების ფარგლებში მოწყობილი სველი წერტილები.

№2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ხელმძღვანელის მუნიციპალიტეტის სახელზე გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ ბაღის სახურავი რეაბილიტაციიდან 4 თვეში გამოვიდა მწყობრიდან. აღსანიშნავია, რომ მიმწოდებელმა საგარანტიო ვადაში რამდენჯერმე შეაკეთა მის მიერ მოწყობილი სახურავი, მაგრამ პრობლემის აღმოფხვრა მაინც ვერ მოხერხდა.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ 69 ათასი ლარი გადახდილია №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სარეაბილიტაციო სამუშაოებში, რომელიც შესრულებულია უხარისხოდ.

¹⁸ 2015 წლის №149 ხელშეკრულება.

სურათი 7. №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დაზიანებული ჭერი



3.5 ხელშეკრულებით განსაზღვრული საგარანტიო ვადები

კრიტერიუმი: 2015 წელს მუნიციპალიტეტის მიერ სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის ხელშეკრულებების მიხედვით, საგარანტიო ვადის განმავლობაში შემსყიდველის მიერ დაზიანების გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებით დადგენილ ვადებში მოახდინოს მისი გამოსწორება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად გამგეობამ რეგულარულად უნდა შეამოწმოს დასრულებული სამუშაოები და პრობლემის არსებობის შემთხვევაში მიმართოს მიმწოდებელს.

გარემოება: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2015 წელს სამშენებლო სამუშაოების შესასყიდად გადახდილია 4 302.8 ათასი ლარი. აუდიტის ჯგუფმა ადგილზე დაათვალიერა შესყიდული სამუშაოების ნაწილი, კერძოდ, 3 309.8 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები. შედეგად აღმოჩნდა, რომ 1 107.1 ათასი ლარის სამუშაოები დათვალიერების მომენტისათვის დაზიანებულია ან/და შესრულებულია უხარისხოდ. აღსანიშნავია, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას არ მიუმართავს მიმწოდებლებისთვის გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მშენებლობას გააჩნდა მოქმედი საგარანტიო ვადა.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული ობიექტები დათვალიერებული იქნება საგარანტიო ვადის გასვლამდე მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების მიერ და გამგეობა შემსრულებლებს მიმართავს გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით.

შესყიდული ობიექტების მხოლოდ საგარანტიო პერიოდის ბოლოს შემოწმება ვერ უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურული პროექტების მდგომარეობის შესახებ

გამგეობის დროულ ინფორმირებას. შესაბამისად, მუნიციპალიტეტს არ აქვს შესაძლებლობა, საგარანტიო ვადის განმავლობაში, ხარვეზის გამოვლენისთანავე მიმართოს მიმწოდებელს გამოსწორებისთვის, რითაც მიღწეული იქნება ობიექტების სრუფასოვანი ფუქნციონირება, როგორც საგარანტიო ვადაში, ასევე საგარანტიო პერიოდის ბოლოს. სხვადასხვა მუნიციპალური სერვისი, რომელიც ნაკლოვანებების გარეშე უნდა მიეწოდებოდეს მოსახლეობას, შესაძლებელია ხასიათდებოდეს ხარვეზებით ერთი ან მეტი წლის განმავლობაში.

რეკომენდაცია: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ დანერგოს კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოების ჩაბარებას ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული ხარისხის შესაბამისად; რეგულარულად განახორციელოს შესყიდული სამშენებლო ობიექტების მდგომარეობის მონიტორინგი და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები არსებული ნაკლოვანებების დროულად აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული ხელს შეუწყობს შესყიდული ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების ხარვეზების გარეშე მიწოდებას.

3.6 შესრულებული სამუშაოების ხარისხის ექსპერტიზა

კრიტერიუმი: მზა ბეტონის შესყიდვისას შემსრულებელი ვალდებულია მუნიციპალიტეტს წარუდგინოს მიწოდებული ბეტონის ხარისხის დამადასტურებელი ექსპერტიზის დასკვნები. ექსპერტიზის მიზანია განსაზღვროს, რამდენად შეესაბამება შესყიდული საქონლის ხარისხი არსებულ სტანდარტებსა და ხელშეკრულებით მოთხოვნილ მახასიათებლებს. ამასთანავე, ხელშეკრულების პირობების თანახმად, საბოლოო ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს შესაბამისი ბეტონის სინჯების აღებისა და მათზე სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენის საფუძველზე.

გარემოება 1: 2015 წელს ზესტაფონის მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „მშენებელი 99“-თან 11 ადმინისტრაციულ ერთეულში 1077.5 კუბ.მ მზა ბეტონის შეტანის თაობაზე, საერთო ღირებულებით - 172.4 ათასი ლარი.

დოკუმენტაციის შესწავლით ირკვევა, რომ 6 ადმინისტრაციულ ერთეულში შეტანილი 84.6 ათასი ლარის ღირებულების 529 კუბ.მ ბეტონის ხარისხზე მიმწოდებელს წარმოდგენილი აქვს შპს „მშენებელი სერვის ცენტრის“ მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნები. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ექსპერტიზისათვის ბეტონის ნიმუშების შერჩევასა და მიწოდებას უზრუნველყოფდა უშუალოდ შემსრულებელი. რადგან მიმწოდებელი დამოუკიდებლად, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მონაწილეობის გარეშე ახორციელებდა

ექსპერტიზას დაქვემდებარებული ბეტონის ნიმუშების შერჩევას, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ ექსპერტისათვის მიწოდებული ბეტონის ნიმუშები არ შეირჩა ობიექტურად. აღნიშნული რისკის შემცირების მიზნით 2017 წლიდან გაფორმებული ხელშეკრულებებით განისაზღვრა, რომ ექსპერტიზისათვის ნიმუშების აღება მოხდება გამგეობის წარმომადგენლის თანდასწრებით.

აღსანიშნავია, რომ დანარჩენ 5 ადმინისტრაციულ ერთეულში მიმწოდებელმა შეიტანა 87.8 ათასი ლარის ღირებულების 548.5 კუბ.მ ბეტონი, რომლის ხარისხის დამადასტურებელი ექსპერტიზის დასკვნები მიმწოდებელს საერთოდ არ წარმოუდგენია. მიუხედავად აღნიშნულისა, გამგეობას სრულად აქვს ანაზღაურებული მიწოდებული მზა ბეტონის ღირებულება.

გარემოება 2: 2015 წელს გამგეობამ ხელშეკრულება გააფორმა ი/მ გელა კაკაურიძესთან¹⁹, სხვადასხვა სოფელში 320 კუბ.მ მზა ბეტონის შეტანის მიზნით. ხელშეკრულება ითვალისწინებდა ექსპერტიზის დასკვნის წამოდგენას ბეტონის ხარისხის შესახებ. ი/მ გელა კაკაურიძე თავად არჩევდა ბეტონის ნიმუშებს, რომელსაც უნდა ჩატარებოდა საექსპერტო გამოკვლევა.

სოფელ შროშაში მიმწოდებელმა შეიტანა 4.8 ათასი ლარის ღირებულების ბეტონი. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, აღნიშნული ბეტონის ნიმუში აღებულია 5 ოქტომბერს, მაშინ როდესაც წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებების მიხედვით, ფაქტობრივი მიწოდება განხორციელდა 6 ოქტომბერს. მიუხედავად აღნიშნულისა, მუნიციპალიტეტმა მაინც ჩაიბარა და შესაბამისად, შემსრულებელს აუნაზღაურა შეტანილი ბეტონის ღირებულება.

რეკომენდაცია: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მზა ბეტონის სასაქონლო ფორმით შეძენისას უზრუნველყოს შესყიდული ობიექტის საექსპერტო კვლევა, რათა მიიღოს მაღალი რწმუნება იმისა, რამდენად შეესაბამება შესყიდული საქონლის ხარისხი ხელშეკრულების პირობებით მოთხოვნილს. ამასთანავე, ექსპერტიზის პროცესი დაგეგმოს და წარმართოს ისე, რომ მაქსიმალურად გამოირიცხოს მიმწოდებლის შესაძლო გავლენა ექსპერტიზას დაქვემდებარებული ობიექტების შერჩევასა და ექსპერტიზის შედეგებზე.

3.7 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების მასალების შესყიდვა

კრიტერიუმი 1: მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული იყო მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებისათვის გადახურვის მასალების შესყიდვა და მიწოდება. დაფინანსებული ღონისძიებები მიზნად ისახავდა კორპუსების დაზიანებული გადახურვის შეცვლას, რათა მოსულმა

¹⁹ 2015 წლის №208 ხელშეკრულება.

ნაღებმა არ დააზიანოს მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები. მუნიციპალიტეტი ვალდებულია, აღნიშნული პროცესი წარმართოს ისე, რომ სრულად იქნეს მიღწეული პროგრამის მიზნები. ამასთანავე, თითოეულ კორპუსზე გადასაცემი მასალების რაოდენობა ობიექტური საჭიროებებით იყოს დასაბუთებული.

გარემოება 1: 2014-2015 წლებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტმა №106, №145 და №331 ხელშეკრულებების ფარგლებში²⁰ შეისყიდა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავის მასალები, საერთო ღირებულებით - 148.9 ათასი ლარი. მიწოდება განხორციელდა ქალაქ ზესტაფონში 30 მისამართზე. შეძენილი მასალებით მოსახლეობამ გადახურვა განახორციელა საკუთარი ძალებით. აუდიტის ჯგუფის მიერ ობიექტების დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ გადახურვის სამუშაოების ნაწილი შესრულებული იყო უხარისხოდ. კერძოდ, 10 კორპუსში, რომლისთვისაც მასალების შეძენაში გადახდილია 53.5 ათასი ლარი, გადახურვა დაზიანებულია და მოსული ნაღები აღწევს საცხოვრებელ სახლებში.

სურათი 8. საცხოვრებელ კორპუსებში ნაღების ჩამოსვლის შედეგად დაზიანებული ჭერი



გარემოება 2: სამუშაოების ადგილზე დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ 2014-2015 წლებში პროგრამის ფარგლებში შეძენილი 10.8 ათასი ლარის ღირებულების 3 კორპუსის გადახურვის მასალები სრულად დასაწყობებულია და მათი გამოყენება არ მომხდარა მოსახლეობის მიერ. ხოლო 5 კორპუსში გადახურვის სამუშაოების დასრულების შემდეგ მორჩენილია 5.6 ათასი ლარის ღირებულების მიწოდებული საქონელი. შედეგად, აუდიტის მიმდინარეობის პროცესში 16.4 ათასი ლარის ღირებულების გადახურვის მასალები დასაწყობებულია და მოსახლეობა ვერ სარგებლობს აღნიშნული მატერიალური სიკეთით.

გარემოება 3: 2015 წლის 15 დეკემბერს მუნიციპალიტეტის მიმღებმა კომისიამ ჩაიბარა მაღლაკელიძის ქუჩა №3 კორპუსის მცხოვრებთათვის მისაწოდებელი

²⁰ 2014 წელი - შპს „ცინა“, ხელშეკრულება №106; 2015 წელი - შპს „პატრიოტი 2006“, ხელშეკრულებები №145 და №331.

გადახურვის მასალა (ლარტყი) - ღირებულებით 3.1 ათასი ლარი. აღნიშნული მასალა გადაეცა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მასალების გადაცემიდან 5 თვის შემდეგ, მოსახლეობამ მიმართა გამგეობას და აცნობა, რომ მასალა იყო უხარისხო და შეუძლებელი იყო გადახურვისთვის მისი გამოყენება. ვინაიდან ამ დროისათვის უკვე გასული იყო ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მიმღებმა კომისიამ 2016 წლის ნოემბერში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყო საჭირო მასალის ხელახალი შესყიდვა და მიწოდება მოსახლეობისათვის. 2016 წლის 15 დეკემბერს აუდიტის ჯგუფის მიერ ობიექტის დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ მასალები დასაწყობებულია და მოსახლეობა ვერ სარგებლობს მიწოდებული მატერიალური სიკეთით.

კრიტერიუმი 2: მუნიციპალიტეტი ვალდებულია საქონლისა და მომსახურების მიღება-ჩაბარების პროცესი განახორციელოს ისე, რომ თავიდან აიცილოს უხარისხო საქონლის მიღება ან მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა.

გარემოება: 2015 წელს ზესტაფონის მუნიციპალიტეტმა შპს „პატრიოტი 2006“-ისგან შეისყიდა 57 ათასი ლარის ღირებულების გადახურვის მასალები. ხელშეკრულების მიხედვით, შემსრულებელი ვალდებული იყო საქონლის მიწოდებისას სასაქონლო ზედნადებთან ერთად წარმოედგინა მასალის ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი, რაც არ განხორციელებულა. მიუხრდავად აღნიშნულისა, მუნიციპალიტეტმა შემსრულებელს სრულად აუნაზღაურა მიწოდებული მასალის ღირებულება - 57 ათასი ლარი.

რეკომენდაცია: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ კონტროლი დააწესოს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების რეაბილიტაციის მთელ პროცესზე: დაგეგმვის ეტაპიდან - გადახურვის სამუშაოების დასრულებამდე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მასალების მიწოდება ფაქტობრივი საჭიროებიდან გამომდინარე და დაზიანებული სახურავების დროული და ხარისხიანი რეაბილიტაცია.

3.8 საცხოვრებელი სახლების ეზოებისა და გარე განათების რეაბილიტაცია

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ქონების სათანადო მოვლა-პატრონობა, ხოლო აღნიშნული ქონების სხვა პირის მიერ დაზიანების შემთხვევაში, მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება და ქონების პირვანდელ ფორმაში მოყვანა.

გარემოება: 2014 წელს ზესტაფონის მუნიციპალიტეტმა შპს „ბორანისაგან“ შეისყიდა ქალაქ ზესტაფონში 19 ქუჩაზე საცხოვრებელი ეზოებისა და გარე განათების

რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით 448.8 ათასი ლარი. მათ შორის: ბიბილაშვილის №1 და ფარნავაზის №7-9 ქუჩებზე ასფალტის საფარის მოწყობის ღირებულება იყო 50.1 ათასი ლარი. აუდიტის ჯგუფის მიერ ობიექტების ადგილზე დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ დაზიანებულია ასფალტის გარკვეული ნაწილი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, დაზიანება გამოწვეულია სს „სილქნეტის“ მიერ განხორციელებული სამუშაოების შედეგად. საფარი შემდეგ შეკეთდა, თუმცა არ არის აღდგენილი პირვანდელი ფორმით და დეფორმირებულია.

4. შესყიდვის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები

4.1 „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“

კრიტერიუმი: „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებების²¹ მიხედვით, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი უნდა აისახებოდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობაზე. შესყიდული სამუშაო, საქონელი ან მომსახურება მიმართული უნდა იყოს სოფლის მოსახლეობის მატერიალური, ყოფითი, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. თანხის მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენებისთვის პასუხისმგებელია შესაბამისი მუნიციპალიტეტი.

გარემოება: 2014-2015 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მუნიციპალიტეტი იძენდა სოფლებისთვის საჭირო მასალებს, რომელიც მოსახლეობის ჩართულობით უნდა გახარჯულიყო სხვადასხვა პროექტების განსახორციელებლად. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2014-2015 წლებში სხვადასხვა სოფლებისთვის შესყიდულია, მაგრამ მოსახლეობას არ გამოუყენებია 53.9 ათასი ლარის ღირებულების სხვადასხვა მასალა, როგორებიცაა, ლითონის/პლასტმასის მილები, მავთულბადე, ელკაბელები, წყლის ავზი, ცემენტი, ხის კოჭი, ლურსმანი, ელექტროდი და სხვა. აღნიშნული მასალები დასაწყობებულია მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან.

ამრიგად, პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტმა დახარჯა 53.9 ათასი ლარი სხვადასხვა მასალის შესაძენად, რომელიც დასაწყობებულია და არ მომხდარა მისი გამოყენება მოსახლეობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. შედეგად დარღვეულია „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ განსაზღვრული მოთხოვნები. შესაბამისად, მოსახლეობა ვერ სარგებლობს აღნიშნული მატერიალური სიკეთით.

²¹ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №183 და 2015 წლის 19 თებერვლის №67 დადგენილებები.

4.2 სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად²², 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტს 5 ათას ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვა გამარტივებული ფორმით შეეძლო. 200 ათას ლარამდე ღირებულების შესყიდვები ხორციელდებოდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის, ხოლო 200 ათასი ლარის ან მეტი ღირებულების - ელექტრონული ტენდერის საშუალებით. შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს უნდა ახორციელებდეს მხოლოდ წინასწარ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად.

გარემოება: 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტმა სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრული მონეტარული ზღვრების და/ან შესყიდვების გეგმის დარღვევით ჩაატარა 52 სახელმწიფო შესყიდვა, ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებით - 2 159.8 ათასი ლარი. მათ შორის, 51 შემთხვევაში ელექტრონული ტენდერის ნაცვლად გამოიყენა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, ხოლო ერთ შემთხვევაში განხორციელდა შესყიდვების გეგმით გაუთვალისწინებელი შესყიდვა 3.8 ათასი ლარის ღირებულებით²³. აღნიშნული შესყიდვისთვის შესყიდვების გეგმა დაზუსტდა მოგვიანებით.

ამრიგად, 2014-2015 წლებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტმა 52 შემთხვევაში 2159.8 ათასი ლარის ღირებულების შესყიდვები განახორციელა სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის დარღვევით.

4.3 გადახდილი დღგ

კრიტერიუმი: საქართველოს საგადასახადო კოდექსის²⁴ თანახმად, მსუბუქი ავტომანქანის შეძენა ან იმპორტი განთავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან ჩათვლის უფლების გარეშე.

გარემოება: 2014 წლის 1 ოქტომბერს ზესტაფონის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალების შესყიდვაზე, ღირებულებით - 15.0 ათასი ლარი, დღგ-ის გათვალისწინებით. მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გაუფორმა ფ/პ გენადი ლუტიძეს, ღირებულებით - 14.9 ათასი ლარი²⁵. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ავტომანქანის მიწოდება მოქმედი კანონმდებლობით განთავისუფლებული იყო დღგ-ისგან, გამგეობამ თანხა აანაზღაურა სრულად, მათ შორის, დღგ - 2.3 ათასი ლარი.

²² საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 3.

²³ 2014 წლის №9 ხელშეკრულება.

²⁴ 168-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი.

²⁵ 2014 წლის №208 ხელშეკრულება.

4.4 მუნიციპალიტეტზე დარიცხული პირგასამტეხლო

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტმა 2014 წლის 11 ივნისს გააფორმა ხელშეკრულება №135 შპს „დათ100“-თან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სხვადასხვა სამუშაოს შესრულებისთვის. ასევე 2014 წლის 29 სექტემბერს №200 ხელშეკრულება გაფორდა ინდ. მეწარმე ზურაბ ფერაძესთან²⁶, სამხედრო გაწვევისა და აღრიცხვის სამსახურის შენობაში ფანჯრების შეცვლისთვის. ორივე ხელშეკრულების პირობების თანახმად, ანგარიშსწორება უნდა მომხდარიყო ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიხედვით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის წარმოდგენის შემდეგ, 10 საბანკო დღის განმავლობაში²⁷. ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის დაჯარიმდებოდა როგორც მიმწოდებელი, ასევე მუნიციპალიტეტი, ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე №135 ხელშეკრულების მიხედვით, სახელშეკრულებო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით, ხოლო №200 ხელშეკრულების მიხედვით - 0.3% ოდენობით.

გარემოება 1: 2014 წლის 27 ოქტომბერს ი/მ ზურაბ ფერაძემ მიმართა მუნიციპალიტეტს და აცნობა №200 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შესახებ. 2014 წლის 7 ნოემბერს მას ჩაერიცხა შესრულებული სამუშაოს ღირებულების 80%, 9.2 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო დარჩენილი 20% ანაზღაურდებოდა ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შემდეგ. მუნიციპალიტეტს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა გაეგზავნა 2014 წლის 25 დეკემბერს, ხოლო საბოლოო აქტი სამუშაოების დასრულების შესახებ გამგეობის შესაბამისმა კომისიამ შეადგინა 2015 წლის 13 იანვარს. მუნიციპალიტეტმა შემსრულებელთან საბოლოო ანგარიშსწორება, 2.1 ათასი ლარის ოდენობით, განახორციელა 2015 წლის 27 აპრილს. მიმწოდებელმა მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მუნიციპალიტეტის დაჯარიმება დაგვიანებით ანგარიშსწორებისთვის. სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტს ი/მ ზურაბ ფერაძის სასარგებლოდ დაეკისრა 1.5 ათასი ლარის გადახდა.

გარემოება 2: შპს „დათ100“-თან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებულ სამუშაოებზე სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა წარმოდგენილია 2014 წლის 30 დეკემბერს, ხოლო ანაზღაურება განხორციელდა დაგვიანებით, 2015 წლის 23 თებერვალს. მიმწოდებელმა მიმართა სასამართლოს მუნიციპალიტეტისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნით. სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მუნიციპალიტეტს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრა 0.5 ათასი ლარის გადახდა.

²⁶ 2014 წლის № 200 ხელშეკრულება..

²⁷ №200 ხელშეკრულების ფარგლებში ექსპერტიზის დასკვნასთან ერთად საჭირო იყო საბოლოო მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებაც.

4.5 მიმწოდებლისთვის პირგასამტეხლოს დარიცხვა

კრიტერიუმი: 2014-2015 წლებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების თანახმად, მხარეები ვალდებული არიან დაიცვან ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდების ვადები. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი ჯეროვნად არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, გამგეობა უფლებამოსილია გამოიყენოს შესაბამისი საჯარიმო სანქციები.

გარემოება: ზესტაფონის მუნიციპალიტეტმა 2014 წლის 22 მაისს შპს „ცინა“-სთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შეისყიდა სახურავის მასალები, ღირებულებით - 83.5 ათასი ლარი. შემსრულებელს საქონლის მიწოდება უნდა განეხორციელებინა ქ. ზესტაფონის 18 მისამართზე წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით, ხელშეკრულების გაფორმებიდან მე-10, მე-15, მე-20 და 30-ე დღეებში. წარმოდგენილი მიღება-ჩაბარებების აქტების შესწავლით გამოვლინდა, რომ შემსრულებელმა საქონლის მიწოდება განახორციელა გეგმა-გრაფიკის დარღვევით 35-ე და 39-ე დღეს. შესაბამისად, შპს „ცინა“-ს ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის უნდა დარიცხვოდა პირგასამტეხლო 4.2 ათასი ლარის ოდენობით²⁸, რაც არ განხორციელებულა.

ამრიგად, მუნიციპალიტეტმა არ დააჯარიმა მიმწოდებელი სახელშეკრულებო პირობების დარღვევის გამო, შედეგად დაკარგა 4.2 ათასი ლარის შემოსავალის მიღების შესაძლებლობა.

4.6 ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს ზევით ხელშეკრულებების შეთანხმება საკრებულოსთვის

კრიტერიუმი: საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის²⁹ მიხედვით, საკრებულოს უფლებამოსილებაა ისეთი გარიგების დადებაზე თანხმობის მიცემა, რომლის ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5% - ს.

გარემოება: 2015 წელს მუნიციპალიტეტის გამგეობამ გააფორმა ორი ხელშეკრულება³⁰ საბავშვო ბაღის შენობების რეაბილიტაციისათვის, ღირებულებით 961.0 ათასი ლარი (ბიუჯეტის გადასახდელების 6%) და გზის ასფალტის მოწყობის

²⁸ 4.2 ათასი ლარი = 25 დღე * 0.167 ათასი ლარი (83.5 ათასი ლარი * 0,2%).

²⁹ მუხლი 24, პუნქტი 1.

³⁰ 2015 წლის ხელშეკრულებები: №146, №155.

სამუშაოებზე, ღირებულებით - 1218.6 ათასი ლარი (ბიუჯეტის გადასახდელების 7%-ზე მეტი). მიუხედავად იმისა, რომ გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულება აღემატება კანონმდებლობით განსაზღვრულ 5%-იან ზღვარს, გამგეობას გარიგების დადება არ შეუთანხმებია მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

5. მმართველობითი გადაწყვეტილებები

5.1 შრომის ანაზღაურება

კრიტერიუმი: მოხელეს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო, რომელიც მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და დანამატებს. თანამდებობრივი სარგო მიეცემა მუშაკს დაკავებული თანამდებობის შესაბამისად. დანამატი გაიცემა არასამუშაო საათებში, ღამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობისათვის, სხვა მოხელის მოვალეობების შესრულებისას, საკლასო ჩინის მინიჭებისას, ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისას. პრემია გაიცემა დაქირვებულზე დაკისრებული უფლებამოსილებების ზედმიწევნით და სანიმუშოდ შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, ან/და განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის.

მოხელისათვის დადგენილია ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება 30 კალენდარული დღის ოდენობით, რაც გულისხმობს იმას, რომ ამ პერიოდში მას უნარჩუნდება თანამდებობრივი სარგო, ხოლო შვებულებასთან დაკავშირებით სხვა დამატებითი თანხების ანაზღაურებას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

გარემოება: დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მიხედვით, 2014-2015 წლებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტში შრომის ანაზღაურების სახით გაცემულია 3 869.9 ათასი ლარი, მათ შორის, 2014 წელს - 1 998.8 ათასი ლარი, ხოლო 2015 წელს - 1 871.1 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს პრემიის სახით მიღებული აქვთ სულ 627.2 ათასი ლარი, 2014 წელს - 358.7 ათასი ლარი (შრომის ანაზღაურების 18%), ხოლო 2015 წელს - 268.5 ათასი ლარი (შრომის ანაზღაურების 14%). 2015 წელს გაცემულია დანამატიც 84.6 ათასი ლარის ოდენობით. 2014-2015 წლებში შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურებამ 118.0 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის, პრემია 23.2 ათასი ლარია (შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების 20%).

ცხრილი 3. შტატით გათვალისწინებული და შტატგარეშე თანამშრომლების შრომის ანაზღაურება (ათასი ლარი)

წელი	შრომის ანაზღაურება	თანამდებ ობრივი სარგო	პრემია	დანამატი	კომპენსა ცია	შტატგარეშე თანამშრომელთა ანაზღაურება	შტატგარეშე თანამშრომელ ბზე გაცემული პრემია
2014	1 998.8	1640.1	358.7	0	0	116.8	23.2
2015	1 871.1	1515.3	268.5	84.6	2.7	1.2	0
სულ :	3 869.9	3155.4	627.2	84.6	2.7	118.0	23.2

მუნიციპალიტეტში არსებული პრაქტიკით, თანამშრომელს შვებულებაში გასვლის წინ მიეცემოდა „საშვებულებო თანხა-დახმარება“ ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. 2014-2015 წლებში საშვებულებო დახმარების სახით სულ გაცემულია 203.3 ათასი ლარი. 2014 წელს მუნიციპალიტეტში დასაქმებული 208 პირიდან³¹ შვებულებაში გავიდა 169 თანამშრომელი, „საშვებულებო დახმარება“ გაცემულია ყველა მათგანზე 111.9 ათასი ლარის ოდენობით, ანალოგიურად 2015 წელს 188 თანამშრომლიდან შვებულებაში გავიდა 111 დასაქმებული, რომლებზეც გადახდილია 84.6 ათასი ლარი საშვებულებო დახმარების სახით. 2014 წელს „საშვებულებო დახმარება“ გაცემულია შტატგარეშე თანამშრომლებზეც, 20 დაქირავებულიდან, შვებულებაში გასულ 16 პირზე - 6.8 ათასი ლარის ოდენობით.

2014 წელს შტატით გათვალისწინებული თანამშრომლებისთვის „საშვებულებო დახმარება“ გაცემულია „თანამდებობრივი სარგოს“ მუხლიდან, 2015 წელს - „დანამატის“ მუხლიდან, ხოლო ხელშეკრულებით დაქირავებულთათვის „შტატგარეშეთა ანაზღაურების“ მუხლიდან, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გადახდები თავისი შინაარსით არ წარმოადგენს არც დანამტს, არც თანამდებობრივ სარგოს და არც შტატგარეშეთა ანაზღაურებას. აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობა დაქირავებულებისათვის შვებულებაში გასვლასთან დაკავშირებით რაიმე თანხის გაცემას არ ითვალისწინებს. შესაბამისად, 203.3 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის მიერ გადახდილია კანონმდებლობის შეუსაბამოდ.

5.2 განთავისუფლებულ თანამშრომლებზე გადახდილი თანხები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, პირი შესაძლოა სამსახურიდან განთავისუფლდეს თავისი ინიციატივით, თუ მისი სამსახურში მიღების უფლების მქონე მოხელე ან დაწესებულება დააკმაყოფილებს მის

³¹ დასაქმებულთა რაოდენობა წარმოდგენილია 2014 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

წერილობით განცხადებას. აგრეთვე მოხელე სამსახურიდან შეიძლება განთავისუფლდეს:

- კანონმდებლობით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომისათვის;
- სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა;
- დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშე, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს.

ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, პირის თანამდებობიდან განთავისუფლების დროს აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებლობის შემთხვევაში, ირღვევა მოხელის კანონით გარანტირებული უფლებები³².

გარემოება: 2014 წელს ზესტაფონის მუნიციპალიტეტმა სამ პირს აუნაზღაურა იძულებითი განაცდური 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, სულ - 6.7 ათასი ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ირკვევა, რომ 2013 წლის იანვარში გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებების საფუძველზე გამგეობის სამი თანამშრომელი განთავისუფლდა სამსახურიდან. აღნიშნულმა პირებმა იმავე წელს სასამართლოში გაასაჩივრეს სამართლებრივი აქტები მათი განთავისუფლების შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი აღნიშნული ბრძანებები, ამასთანავე, 2 შემთხვევაში მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევა, ხოლო ერთ შემთხვევაში - განთავისუფლებული პირი აღდგენილ იქნა შესაბამის თანამდებობაზე. 2014 წელს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით, სამივე პირი აღდგენილ იქნა გამგეობის შესაბამის თანამდებობებზე. შედეგად, 6.7 ათასი ლარის ხარჯი დამატებით იქნა გაწეული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

5.3 საკრებულოს წევრების ხარჯები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს უსასყიდლოდ. ანაზღაურებადია მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის საქმიანობა³³. კანონმდებლობა ითვალისწინებს საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებზე მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურებას.

³²საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხლი 95, 99; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 96.

³³ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 41.

მუნიციპალიტეტი ანაზღაურებს საკრებულოს კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომებში მონაწილეობისათვის, ასევე საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისათვის ყოველთვიურად გაწეულ ხარჯებს. გამგეობის მიერ აღნიშნული ხარჯის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს საკრებულოს წევრის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე.

ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელშიც აღინიშნება დასახელება, მისი შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეები, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები³⁴.

გარემოება: 2014–2015 წლებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებზე ხარჯების სახით ანაზღაურებულია 238.3 ათასი ლარი, მათ შორის, 2014 წელს - 111.3 ათასი, ხოლო 2015 წელს - 127 ათასი ლარი.

წარმოდგენილი ინფორმაციით, ხარჯის ანაზღაურება ხორციელდებოდა საკრებულოს დადგენილებით, რომლის საფუძველია საკრებულოს წევრების მონაწილეობა განსაზღვრულ საქმიანობაში. საკრებულოს სხდომებსა და მის საქმიანობაში მიღებული მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტაცია არ შეიცავს მონაცემებს კონკრეტულად გაწეული დანახარჯების შესახებ და არ არის საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება ხარჯის დასადასტურებლად.

5.4 სოფელ სასახლეში საავტომობილო გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაო

კრიტერიუმი: კაპიტალური პროექტების დაგეგმვისას მუნიციპალიტეტმა უნდა იხელმძღვანელოს იმ პრინციპების გათვალისწინებით, რამდენად გამომდინარეობს კონკრეტული პროექტი მოსახლეობის საჭიროებებიდან და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის შედეგად რამდენად უმჯობესდება მოსახლეობის ყოფითი, სოციალურ-ეკონომიკური პირობები.

გარემოება: 2015 წელს გამგეობამ გააფორმა ორი ხელშეკრულება შპს „საპოვნელა+“-თან³⁵, რომელიც სხვა სამუშაოებთან ერთად ითვალისწინებდა სოფელ სასახლეში საავტომობილო გზებზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებს. კერძოდ, სასახლეში დაიგო 2 მონაკვეთი, სოფლის ცენტრამდე მისასვლელი გზის ნაწილი,


³⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერს №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-5 მუხლი.

³⁵ 2015 წლის ხელშეკრულებები: №156, №280.

ღირებულებით - 257.5 ათასი და შიდა საუბნო გზა, ღირებულებით - 100.7 ათასი ლარი.

სოფელ სასახლეში გზების კაპიტალური შეკეთება დაიწყო 2015 წლის 8 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულებით, რომლის ფარგლებში მოეწყო სოფლის ცენტრამდე მისასვლელი გზის ნაწილი - 700 გრძივი მეტრი, რომლითაც სოფელი უკავშირდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრამდე მისასვლელ გზას და შიდა საუბნო გზა, 350 გრძივი მეტრი. მეორე ეტაპზე სამუშაოები გაგრძელდა 2015 წლის 12 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით და სოფლის ცენტრამდე მისასვლელ გზას დაემატა 1697 გრძივი მეტრი, ხოლო შიდა საუბნო გზას - 998 გრძივი მეტრი.

სურათი 9. სოფელ სასახლის შეკეთებული გზა



სურათი 10. სასოფლო - სამეორნეო სავარგულებში მოწყობილი გზა



აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ 100.7 ათასი ლარის ღირებულების, 1348 გრძივი მეტრი შიდა

საუბნო გზა რეაბილიტირებულია იმ უბანში რომელშიც დაახლოებით 4 ოჯახი ცხოვრობს, მნიშვნელოვნადაა დაშორებული სოფლის მჭიდროდ დასახლებული უბნებისაგან და ძირითადად მოწყობილია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიმდებარედ.

აღსანიშნავია, რომ სასოფლო - სამეურნეო სავარგულებში გამავალი გზის მოწყობა მუნიციპალიტეტმა დაიწყო მაშინ, როდესაც სრულად არ ჰქონდა განხორციელებული გზის რეაბილიტაცია, რომელიც სოფელს აკავშირებს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრამდე მისასვლელ გზასთან და რომლითაც სარგებლობს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ვერ წარმოადგინა დასაბუთება, რის საფუძველზე განახორციელა გზის კაპიტალური რეაბილიტაცია ღირებულებით 100.7 ათასი ლარი, ისეთ ტერიტორიაზე, რომლის ძირითადი ნაწილი დაუსახლებელია და გადის სასოფლო სამეურნეო-სამეურნეო სავარგულებში, მაშინ როდესაც დაუსრულებელი იყო სოფლის ცენტრამდე მისასვლელი გზა, რომლითაც სოფლის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სარგებლობს.

რეკომენდაცია: ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისას ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უნდა შეისწავლოს მოსახლეობის საჭიროებები, განსახორციელებელი პროექტების მოსალოდნელი შედეგები და აღნიშნულის გათვალისწინებით პრიორიტეტულად განსაზღვროს ისეთი მონაკვეთების კაპიტალური შეკეთება, რომლის დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი აისახება ადგილობრივი მაცხოვრებლების უმრავლესობაზე.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

უფროსი აუდიტორი: მიხეილ ჩიქოვანი	ხელმოწერა	თარიღი
აუდიტორი: თეა არველაძე	ხელმოწერა	თარიღი
აუდიტორი: ლალი ამბროლაძე	ხელმოწერა	თარიღი
აუდიტორი: ნატალია საღარეიშვილი	ხელმოწერა	თარიღი